სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია
Proceedings of Sokhumi State University
Humanities and Socio-Political Sciences Series, ტომი/ Vol. XXI, 2023-2024 წელი

მანანა ბოჭორიშვილი[1]
მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი//სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

https://doi.org/10.52340/sou.2023.21.36

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა აკადემიურ მიღწევებზე მოქმედი ფაქტორები

აბსტრაქტი. სტატია ეხება პანდემიურ და პოსტპანდემიურ პერიოდში სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა აკადემიურ მიღწევებზე მოქმედი ფაქტორების კვლევას. კერძოდ, მათ აკადემიურ შედეგებზე საგნობრივი სოციალური ქსელის (Facebook) როლის შესწავლას. შესწავლილ იქნა ბოლო სამი სასწავლო წლის ცხრა ქეისი თითოეულ ქეისად განვიხილეთ ერთი საგნობრივი ჯგუფი და ქეისების შესწავლისას უპირატესობა მივანიჭეთ კორვენგენციულ მიდგომას რაც რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობას იძლვა და მონაცემთა ანალიზს უფრო სიღრმისეულს ხდის.

კვლევა მოიცავს სხვადასხვა ასპექტს, როგორიცაა აკადემიური მოსწრება, ცოდნის მიღების პროცესის ხელმისაწვდომობა და პედაგოგიური უნარების განვითარება. კვლევით გადავამოწმეთ ჰიპოთეზა, რომელიც ამტკიცებს, რომ სასწავლო პორტალები და დახურული ონლაინჯგუფები მნიშვნელოვნად უწყობენ ხელს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას, სწავლის ხელმისაწვდომობას, კოლაბორაციულ სწავლებას და გრძელვადიან პერსპექტივაში აუმჯობესებს პედაგოგიურ პრაქტიკას.

[1] **მანანა ბოჭორიშვილი,** განათლების მეცნიერებათა დოქტორი, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული დოქტორი.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ დახურული ონლაინჯგუფების გამოყენება ზრდის სტუდენტების ჩართულობასა და აქტიურობას სასწავლო პროცესში. რაოდენობრივი ანალიზი მტკიცედ ადასტურებს კავშირს სტუდენტების აქტიურობასა და აკადემიურ შედეგებს შორის, რაც სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაციით (r = 0.79) დადასტურდა და თვისებრივი კვლევით ამ კორელაციის ახსნა მოხდა.

კვლევის დასკვნა მიუთითებს, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის დახურული სოციალური ონლაინჯგუფების გამოყენება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს აკადემიურ მოსწრებას, ცოდნის მიღების პროცესის ხელმისაწვდომობას და პედაგოგიური უნარების განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, სტუდენტები, აკადემიური მიღწევები, სოციალური ქსელი (Facebook), აკადემიური მიღწევა, მოქმედი ფაქტორები, ონლაინ ჯგუფები.

Manana Bochorishvili[2]

Factors Affecting the Academic Achievement of Students in Teacher Training Educational Programs

Abstract. The article refers to the study of the factors affecting the academic achievements of the students of the sixty-credit teacher training program of the Sukhumi State University in the pandemic and post-pandemic period. In particular, the study of the role of subject Facebook groups on the academic results of the students of the 60-credit teacher training program of Sokhumi State University. Nine cases of the last three academic years were studied, one subject group was considered for each case, and when studying the cases, preference was given to the correlational approach, which allowed the use of quantitative and qualitative research tools and made the data analysis more in-depth.

Research covers various aspects such as academic performance, access to knowledge acquisition process and development of pedagogical skills. We tested the hypothesis that learning portals and closed online groups significantly contribute to improving student academic achievement, access to learning, collaborative learning and, in the long term, improve pedagogical practices.

The results of the study show that the use of closed online groups increases students' involvement and activity in the learning process. Quantitative analysis strongly

[2] **Manana Bochorishvili,** Doctor of Educational Sciences, National Center for Teacher Professional Development, Guest Doctor of Sokhumi State University.

confirms the relationship between students' activism and academic results, which was confirmed by a statistically significant correlation (r = 0.79), and qualitative research explained this correlation.

The conclusion of the study indicates that the use of closed online groups for students of the 60-credit teacher training program of Sukhumi State University significantly improves academic performance, access to the process of acquiring knowledge, and the development of pedagogical skills.

Keywords: Teacher Training Educational Program, Students, Academic Achievement, Social Network (Facebook), Academic Achievement, Influencing Factors, Online Groups.

შესავალი. COVID-19 პანდემიამ მნიშვნელოვნად შეცვალა ცხოვრების ყველა ასპექტი, მათ შორის განათლება. განათლების სფერო სწრაფად გადაეწყო სწავლების დისტანციური ფორმატზე. რამაც გამოიწვია ტექნოლოგიების გამოყენების ზრდა და მისი როლის გადაფასება.ფაქტია, პანდემიის შემდეგ, ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში მნიშვნელოვნად გაიზარდა. მკვლევრები (Dhawan 2020) მიუთითებენ, რომ ონლაინსწავლების პლატფორმები, როგორიცაა Zoom, Google Classroom და Microsoft Teams, გახდა აუცილებელი ინსტრუმენტები სწავლა-სწავლების გაგრძელებისთვის. ბევრ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოხდა დისტანციური და ჰიბრიდული სწავლების ფორმების დანერგვა (Hodges et al. 2020). აღსანიშნავია, რომ ონლაინ სწავლებაზე სწრაფი გადასვლის გამო დისტანციური სწავლების ორგანიზებაში გამოვლინდა გარკვეული სირთულეებიც.

ტექნოლოგიების გამოყენებამ გამოიწვია სწავლების ხარისხის გაუმჯობესება და სწავლების ახალი მეთოდების დანერგვა. ასევე ღინიშნა (Jandrić et al. 2020), რომ ონლაინ სწავლების პლატფორმებმა უზრუნველყო მოქნილობა და ხელმისაწვდომობა, რაც ეხმარებოდა სტუდენტებს სწავლების პროცესში. ასევე ხაზგასასმელია, რომ ონლაინ სწავლებამ გამოავლინა ტექნოლოგიური ინიციატივების საჭიროება, რაც მნიშვნელოვანია სტუდენტების ჩართულობისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის (Bates, 2020).

გამოცდილებამ აჩვენა, რომ ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში არა მხოლოდ აუცილებლობაა, არამედ გრძელვადიანი ტრანსფორმაციის საწინდარია. მკვლევრები (Li, Lalani 2020) მიუთითებენ, რომ პანდემიამ დღის წესრიგში დააყენა ისეთი მიდგომების დანერგვის აუცილებლობა, რაც უზრუნველყოფს უფრო მოქნილ და პერსონალიზებულ სწავლებას, რათა სრულად იქნას გამოყენებული ტექნოლოგიების შესაძლებლობები განათლებაში.

ფაქტია, რომ ტექნოლოგიების გამოყენებამ შეცვალა სასწავლო პროცესი. სასწავლო პორტალები და დახურული ონლაინჯგუფები მნიშვნელოვანი ინსტრუმენტები გახდნენ სტუდენტების ცოდნისა და უნარების განვითარების კუთხით. სტატიაში განვიხილავთ სხვადასხვა კვლევას და მათ შედეგებს სასწავლო პორტალებისა და ონლაინჯგუფების როლზე.

აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პორტალები საშუალებას აძლევენ სტუდენტებს მიიღონ საჭირო რესურსები ნებისმიერ დროს და ნებისმიერი ადგილიდან. რაც უზრუნველყოფს მოქნილობას და ხელს უწყობს სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. სასწავლო პორტალების გამოყენების შესახებ კვლევები აჩვენებს, რომ ისინი ხელს უწყობენ სტუდენტებს სწავლების პოცესის გაიოლებაში და აკადემიური შედეგების გაუმჯობესებაში. *არაერთმა* კვლევამ აჩვენა, რომ სასწავლო პორტალები, როგორიცაა Moodle და Blackboard, აუმჯობესებს სტუდენტთა ჩართულობას და აკადემიურ შედეგებს.

კვლევები, აჩვენებს, რომ საგანმანათლებლო პორტალები ხელს უწყობს სტუდენტების თვითრეგულაციის უნარების განვითარებას, რაც მათ საშუალებას აძლევს უკეთ მართონ საკუთარი სწავლა. *დახურული ონლაინჯგუფები* (მაგ., WhatsApp, Facebook ჯგუფები) გამოიყენება სტუდენტების კომუნიკაციისა და კოლაბორაციის გასაადვილებლად. ისინი უზრუნველყოფენ სტუდენტების ჩართულობას პლატფორმაზე, სადაც მათ შეუძლიათ გააზიარონ მასალები, მიიღონ დახმარება და იმუშაონ ჯგუფურად. მკვლევრები (Garrison და Anderson, 2021) აღნიშნავენ, რომ ონლაინჯგუფები ხელს უწყობენ ცოდნის კონსტრუირებას და სტუდენტების კრიტიკულ აზროვნებას, რადგან ისინი საშუალებას აძლევენ სტუდენტებს დისკუსიისა და კოლაბორაციის გზით გაეცნონ ახალ იდეებს .

დახურული ონლაინჯგუფების გამოყენება მნიშვნელოვნად ზრდის სტუდენტების ჩართულობას, საშუალებას აძლევს უკეთ იმუშაონ გუნდურად და მიიღონ სწრაფი უკუკავშირი თანაკურსელებისგან და პროფესორისგან. სასწავლო პორტალებისა და ონლაინჯგუფების გამოყენება დაკავშირებულია გარკვეულ ტექნიკურ და პრაქტიკულ გამოწვევებთან. მკვლევრები (Bates და Sangra 2021) მიუთითებენ, რომ ტექნიკური პრობლემები, როგორიცაა პლატფორმების არასტაბილურობა ან ინტერნეტ-კავშირის პრობლემები, შეიძლება ზღუდავდეს მათი ეფექტიან გამოყენებას.

სამეცნიერო-კვლევითი ლიტერატურის მიმოხილვიდან ჩანს, რომ სასწავლო პორტალი და დახურული ონლაინჯგუფები მნიშვნელოვანი ინსტრუმენტებია სტუდენტების ცოდნისა და უნარების განვითარებაში. ისინი უზრუნველყოფენ მოქნილობას, ხელს უწყობენ თვითრეგულაციისა და კრიტიკული

აზროვნების უნარების განვითარებას და ზრდიან სტუდენტების ჩართულობას.

სტატიაში გაანალიზებულია კვლევა, რომელის ფარგლებშიც შევისწავლეთ *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა აკადემიურ შედეგებზე, საგნობრივი ფეისბუკჯგუფების როლი, ბოლო სამი სასწავლო წლის განმავლობაში.*

საკვლევის თემა - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების დახურული ონლაინჯგუფების როლის შესწავლა: აკადემიურ მოსწრებაზე, ცოდნის მიღების პროცესის ხელმისაწვდომობაზე, პედაგოგიური უნარების განვითარებაზე.

ჰიპოთეზა - სასწავლო პორტალები და დახურული ონლაინჯგუფები, *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის* სტუდენტებს მნიშვნელოვნად უწყობენ ხელს:აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას, სწავლის ხელმისაწყვდომობას, კოლაბორაციულ სწავლებას და გრძელვადიან პერსპექტივაში აუმჯობესებს პედაგოგიურ პრაქტიკას.

კვლევის მიზანია - დადგინდეს, რა როლი აქვს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებაზე, ცოდნის მიღების პროცესის ხელმისაწვდომობაზე, დახურულ საგნობრივ ონლაინჯგუფებს, რათა მოხდეს სასწავლო პროცესზე მათი გავლენის შეფასება.

კვლევის ამოცანები:

1. განისაზღვროს და საგნობრივი, დახურული ონლაინჯგუფების გამოყენების სიხშირე და პოპულარობა სტუდენტებს შორის.
2. დადგინდეს, თუ როგორ იყენებენ სტუდენტები სასწავლო პორტალებს და დახურულ, საგნობრივ ონლაინჯგუფებს და რა სარგებელი აქვთ მათგან.
3. შეფასდეს დახურული, საგნობრივი ონლაინჯგუფების გავლენა სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებაზე.
4. გაანალიზდეს, თუ როგორ გამოიყენებენ დახურულ, საგნობრივი ონლაინჯგუფებს სხვადასხვა საგნების სწავლების პროცესში.
5. გაანალიზდეს, სტუდენტთა მოსაზრებები და გამოცდილება სასწავლო პორტალებისა და დახურული, საგნობრივი ონლაინჯგუფების გამოყენების შესახებ.
6. შეისწავლილ იქნეს დახურული, საგნობრივი ონლაინჯგუფების გამოყენების საუკეთესო პრაქტიკა.

7. შემუშავდეს რეკომენდაციები შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

სტუდენტთა დახურული ონლაინ, საგნობრივი ფეისბუქჯგუფების კვლევისთვის შეირჩა ქეისტადები, რადგან ის საკითხის ჰოლისტურად შესწავლის საშუალებას იძლევა. მნიშვნელოვანია, რომ შესწავლილ იქნას: ჯგუფების სრული კონტექსტი, მათი შიდა დინამიკა და კომუნიკაციის ფორმები. კვლევა ითვალისწინებს: პოსტებისა და კომენტარების ანალიზს, წევრების გამოკითხვას და ჯგუფის დოკუმენტაციის განხილვას სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებასთან და მათ პედაგოგიურ პრაქტიკასთან მიმართებით, რაც რეალურ მონაცემებსა და ფაქტებზე დაყრდნობით სიღრმისეული ანალიზის უზრუნველყოფას.

მრავალმხრივი პერსპექტივა და კონტექსტუალური ანალიზი ზრდის კვლევის სიზუსტეს და სიღრმეს. მნიშვნელოვანია საგნობრივი ფეისბუქწევრების მრავალფეროვანი ხედვების გათვალისწინება, რაც საშუალებას იძლევა, რომ ჯგუფის შიდა დინამიკა და არსებული სივრცის პოტენციალი უკეთ გაიგოთ. ინტერპრეტაციული მიდგომა და სპირალური დიზაინი კი იძლევა შესაძლებლობას, რომ კვლევის პროცესი იყოს მოქნილი და ადაპტირდეს კონკრეტული შემთხვევის საჭიროებების მიხედვით. კვლევის პოტენციალი საშუალებას გვაძლევს ქეისთადის შედეგები, გამოყენებული იქნას თეორიული ჩარჩოების განზოგადებისთვის, რაც ზრდის კვლევის შედეგეგების, დასკვნისა და რეკომენდაციის მნიშვნელობას მისი პრაქტიკაში გათვალისწინების თვალსაზრისით.

კვლევისთვის ქეისის შერჩევა - შევარჩიეთ კონკრეტული ქეისები, როგორც ჩვენი კვლევის ძირითადი ობიექტი. კერძოდ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ბოლო სამი სასწავლო წლის ცხრა საგნობრივი, ონლაინ, დახურული ფეისბუქჯგუფი შემდეგ სასწავლო კურსებში:

1. 2020 - 2021 სასწავლო წელი, საგანი - პედაგოგიკის საფუძვლები;
2. 2020 - 2021 სასწავლო წელი, საგანი - ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკა;
3. 2020 - 2021 სასწავლო წელი, საგანი - განვითარების და სწავლის თეორიები
4. 2021 - 2022 სასწავლო წელი, საგანი - პედაგოგიკის საფუძვლები;
5. 2021 - 2022 სასწავლო წელი, საგანი - ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკა;
6. 2021 - 2022 სასწავლო წელი, საგანი - განვითარების და სწავლის თეორიები;
7. 2022 - 2023 სასწავლო წელი, საგანი - პედაგოგიკის საფუძვლები;

8. 2022 - 2023 სასწავლო წელი, საგანი - ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკა;
9. 2022 - 2023 სასწავლო წელი, საგანი - განვითარების და სწავლის თეორიები.

გამოვიყენეთ ქეისსთადის მეთოდოლოგიაში პოპულარული მიდგომა, რომელიც რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემების შერეულ ანალიზს გულისხმობს. *კონვერგენციული* მიდგომა კვლევითი კითხვაზე პასუხისას საშუალებას იძლევა, რომ რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემები შევადაროთ. კერძოდ, ამ მეთოდით შესაძლებელი ხდება მონაცემთა ორი ტიპის შედარება და შეჯერება, რაც კვლევის სიზუსტესა და სიღრმისეულობას ზრდის.

ჩვენს მიერ განხორციელებული ქეისსთადის მეთოდოლოგიის ძირითადი ეტაპები შემდეგნაირად გამოიყურება:

1. *კონტექსტის განსაზღვრა* -განვსაზღვრეთ კვლევის კონტექსტი და მასთან მიმართებაში დავაზუსტეთ კვლევის ობიექტი და მოვახდინეთ საკვლევი კითხვის ფორმულირება.
2. *მონაცემთა შეგროვება* - რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემები შევაგროვეთ სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით: კითხვარი, ინტერვიუ და დოკუმენტების ანალიზი.
3. *მონაცემთა ანალიზი* - შეგროვებული მონაცემები გაანალიზდა შერეული მეთოდებით, გამოვლინდა ტენდენციები და კავშირები.
4. *შედარება და ინტეგრაცია* - რაოდენობრივი და ხარისხობრივი მო-ნაცემები ერთმანეთს შედარდა, შეჯერდა და მოგვცა საკითხის სიღრმისეული გააზრების საშუალება.
5. *დასკვნები* - საბოლოოდ, მიღებული დასკვნების საფუძველზე შევიმუშავეთ რეკომენდაციები.

კითხვარი შეივსო 114 სტუდენტმა, რომლებიც გაწევრიანებული იყვნენ ფეისბუკის სასწავლო საგნობრივ, დახურულ ონლაინჯგუფებში

კითხვაზე, რამდენად ინტენსიურად იყენებს ფეისბუქის სასწავლო საგნობრივ, დახურულ ონლაინჯგუფს. ფოკუსჯგუფების წევრთა პასუხები ასე განაწილდა: 60% ყოველდღიურად, 30% კვირაში რამდენჯერმე, 5% კვირაში ერთხელ, 5% იშვიათად.

გამოკითხვაში მონაწილე ფეისბუქის სასწავლო საგნობრივი, დახურულ ონლაინჯგუფის წევრათა კმაყოფილების კვლევის შედეგები შემდეგნაირად განაწილდა: 45% ძალიან კმაყოფილი, 40% კმაყოფილი, 10% საშუალოდ, 5% უკმაყოფილო.

გამოკითხვაში მონაწილე ფეისბუქის საგნობრივი, დახურული ონლაინ-ჯგუფების წევრები კითხვაზე - *რამდენად ეხმარება მათ ეს სივრცე უკეთ გაეცნონ სასწავლო მასალებს,* პასუხები შემდეგნაირად განაწილდა - 65% ძალიან ეხმარება, 35 % ეხმარება, არ ეხმარება -0%

გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა, ამ ჯგუფში ყოფნა და მასალების გამოყენება აისახება გამოკითხვაში მონაწილე *სტუდენტთა აკადემიური შედეგების გაუმჯობესებაზე. პროცენტული მონაცემები შემდეგნაირად განაწილდა:* 55% თვლის რომ მნიშვნელოვნად აუმჯობესებს, 35% აუმჯობესებს, 10% - ნაწილობრივ აუმჯობესებს.

სტუდენტთა პასუხები კითხვაზე - რამდენად თვლიან, რომ ამ პლატფორმების გამოყენება აუმჯობესებს მათ უნარებს: შემდეგნაირად განაწილდა 45% თვლის, რომ სრულად აუმჯობესებს, 40% საშუალოდ აუმჯობესებს, 10% მცირედ , 5% არ აუმჯობესებს.

გამოკითხულები კითხვაზე - რა სარგებელს გამოყოფდნენ დახურული, საგნობრივი ფეისბუქჯგუფების გამოყენებიდან. გამოკითხულები სხვადასხვა ბენეფიტებს ასახელებდნენ მათგან ყველაზე პოპულარული იყო:

80% უკეთესი წვდომა სასწავლო მასალებზე

70% მოქნილობა სწავლის დროს

60% კოლაბორაციის და ჯგუფური მუშაობის გაუმჯობესება

50% პედაგოგიური უნარების განვითარება

სტუდენტებმა კითხვაზე - რა სირთულეებს წააწყდნენ სასწავლო პორტალების და ონლაინჯგუფების გამოყენებისას. სტუდენტებმა დაასახელეს:

40% ტექნიკური პრობლემები

35% დროის მართვის სირთულეები

25% ჯგუფური მუშაობის კოორდინაციის სირთულეები

20% კონცენტრაციის პრობლემა

ქეისსთადები, რომლებიც ბოლო სამი სასწავლო წლის განმავლობაში არსებული საგნობრივი ფეისბუკ ჯგუფების კვლევისთვის გამოვიყენეთ მოიცავს სპეციალურ კვლევით მიდგომებს და მეთოდებს, რათა მაქსიმალურად ჰოლისტურად განხორციელებულიყო საკითხის შესწავლა. კვლევის სანდოობის ასამაღლებლად, გამოვიყენეთ რამდენიმე სპეციფიკური სტრატეგია:

პოსტებისა და კომენტარების ანალიზი - შევაგროვეთ და გავაანალიზეთ სხვადასხვა დროის მონაკვეთში ფეისბუქჯგუფებში დაწერილი პოსტები და კომენტარები, რათა მიგვეღო სრული სურათი ჯგუფის დინამიკისა და აქტივობების შესახებ.

ტრიანგულაცია. ტრიანგულაციაზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ გამოვიყენეთ როგორც მონაცემთა ტრიანგულაცია (გამოვიყენეთ სხვადასხვა

მონაცემთა წყაროები - ჯგუფის წევრების გამოკითხვა, ჯგუფის ადმინისტრატორებთან საუბარი, ფეისბუქჯგუფის აქტივობების მონაცემთა ანალიზი) ასევე, *მეთოდების ტრიანგულაცია* (გამოიყენეთ სხვადასხვა კვლევითი მეთოდები, როგორიცაა ლიტერატურის ანალიზი, თემატური ანალიზი, რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზი).

კვლევის შედეგების ანალიზი

დახურული საგნობრივი ფეისბუქის ჯგუფის გამოყენება და სტუდენტის აკადემიური მოსწრება - კვლევის მონაცემთა შეჯერებით დასტურდება, რომ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირია ფეისბუკის გამოყენების სიხშირესა და აკადემიურ ქულას შორის. ფეისბუქის გამოყენების სიხშირისა და აკადემიური ქულის კორელაცია: 0.75, ხოლო აქტივობების რაოდენობისა და აკადემიური ქულის კორელაცია: 0.80. ფეისბუქის ჯგუფებში სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ,რაც მათ მოტივაციას და ჩართულობას ზრდის. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ფეისბუქის გამოყენება ეხმარება მათ აკადემიური შედეგების გაუმჯობესებაში და უკეთესად ესმით ლექციების მასალა. რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების გაანალიზების თანახმად, ფეისბუქის გამოყენებას დადებითი გავლენა აქვს სტუდენტების აკადემიურ შედეგებზე. რაოდენობრივი მონაცემები აჩვენებს სტატისტიკურ კავშირს ფეისბუქის გამოყენებასა და აკადემიურ შედეგებს შორის, ხოლო ხარისხობრივი მონაცემები აღწერს, თუ როგორ და რატომ აქვთ სტუდენტებს უკეთესი აკადემიური შედეგები.

სალექციო მასალის წაკითხვის სიხშირისა და გამოცდის ქულის კო-რელაცია: 0.78 რაოდენობრივი მონაცემები აჩვენებს, რომ ფეისბუქზე განახლებული მასალის წაკითხვა პოზიტიურად არის დაკავშირებული გამოცდის ქულებთან.

კავშირი ჯგუფურად შესრულებული დავალებების რაოდენობასა და აკადემიურ ქულებს შორის. ჯგუფურად შესრულებული დავალებების რაოდენობისა და აკადემიური ქულის კორელაცია: 0.82 ჯგუფურ მუშაობაში მონაწილეობის სიხშირისა და აკადემიური მოსწრების კორელაცია: 0.77. მაღალია კორელაცია ჯგუფურ მუშაობაში მონაწილეობის სიხშირესა და აკადემიურ მოსწრებას შორის. ჯგუფურ მუშაობაში სტუდენტები აქტიურად თანამშრომლობენ და ერთმანეთს ეხმარებიან დავალებების შესრულებაში. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ჯგუფური მუშაობა ეხმარებათ რთული მასალის უკეთ გაგებაში და აკადემიური უნარების განვითარებაში. რაოდენობრივი მონაცემები აჩვენებს სტატისტიკურ კავშირს ჯგუფურად შესრულებული დავალებების

რაოდენობასა და აკადემიურ ქულებს შორის, ხოლო ხარისხობრივი მონაცემები აღწერს, თუ როგორ და რატომ აქვს ჯგუფურ მუშაობას დადებითი გავლენა აკადემიურ შედეგებზე.

დისკუსიები და აკადემიური მოსწრება. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი ჯგუფური დისკუსიების სიხშირესა და აკადემიურ მოსწრებას შორის. დისკუსიებისა და აკადემიური მოსწრების კორელაცია: 0.76 ჯგუფური დისკუსიები ხელს უწყობს სტუდენტების კოლაბორაციის უნარებს და აკადემიური საკითხების უკეთ გაგებას. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ჯგუფური პრეზენტაციები ეხმარებათ შესასწავლი მასალის სისტემატიზაციაში და უკეთესად დამახსოვრებაში. რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემები აჩვენებს, რომ ჯგუფური დისკუსიები დადებითად მოქმედებს სტუდენტების აკადემიურ მოსწრებაზე.

სტუდენტთა ჩართულობა და ქვიზის მოლოდინი. სტუდენტების ჩართულობა ლექციაზე და საგნობრივ ჯგუფში და აქტიურობა მნიშვნელოვნად იზრდება, როცა ისინი ელიან ქვიზს. ქვიზის, მოსალოდინისა და ფეიბუქჯგუფში აქტიურობის კორელაცია: 0.85 ასევე მაღალი კორელაციაა ლექციაზე მონაწილეობის სიხშირესა და ქვიზის ქულებს შორის. ლექციებში მონაწილეობის სიხშირისა და ქვიზის ქულის კორელაცია: 0.78 სტუდენტები მეტად კონცენტრირდებიან და აქტიურად მონაწილეობენ ლექციის ინტერაქტივში, როცა იციან, რომ ქვიზი ელოდებათ. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ქვიზების მოლოდინი მოტივაციას აძლევს მათ, რომ უფრო მეტად ჩაერთონ ლექციებში იმუშაონ და უკეთ გაიაზრონ სასწავლო მასალა. ქვიზის მოლოდინი ზრდის სტუდენტების ჩართულობასა და აქტიურობას.

სტუდენტები უფრო მეტად ჩართულნი არიან და მოტივირებულნი მუშაობენ, როცა იციან, რომ მათი ნაშრომი შეიძლება გამოქვეყნდეს. სტუდენტების მოტივაცია მნიშვნელოვნად იზრდება, როცა იციან, რომ დავალება გამოქვეყნდება. პრაქტიკული დავალების შესრულების სიხშირისა და მოტივაციის კორელაცია: 0.88 პრაქტიკული დავალების ხარისხისა და მოტივაციის კორელაცია: 0.84 მაღალი კორელაცია პრაქტიკული დავალების ხარისხსა და მოტივაციას შორის, როცა საუკეთესო ნაშრომი გამოქვეყნდება. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ დავალების გამოქვეყნება მოტივაციას აძლევს, რათა მათ მეტი დრო და ენერგია დაუთმონ დავალებას და საუკეთესო შედეგი მიიღონ.
დახურულ ჯგუფში სტუდენტის აქტივობა და ჯგუფში დეკანის და პროგრამის ხელმძღვანელის უკუკავშირი. სტუდენტები უფრო მეტად მოტივირებულნი მუშაობენ, როცა იციან, რომ მათი დავალებას, პოსტს და კომენტარს ეცნობა: პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანი და სხვა საგნის ლექტორი კორელაცია: 0.88.

გამოიკვეთა, რომ ფეისბუქჯგუფების გამოყენება ზრდის სტუდენტების მოტივაციასა და ჩართულობას, განსაკუთრებით როცა იციან, რომ მათი ნაშრომი შეიძლება გამოქვეყნდეს. აღსანიშნავია, რომ შესრულებული დავალებები თემატურად იტვირთებოდა დახურულ ჯგუფში და სტუდენტებს ჰქონდათ საშუალება დაეკომენტარებინათ ერთმანეთის დავალებებზე, საუკეთესო დავალებები განზოგადდა და როგორც მეთოდური მასალა გამოქვეყნდა ინტერნეტგაზეთ mastsavlebeli.ge - ზე ამ სამი წლის განმავლობაში სტუდენტთა 17,5 % - ის მიერ მომზადებული სტატიები გამოქვეყნდა საჯაროდ, პროფესიონალურ ჟურნალში. ეს სტუდენტებს დაეხმარა, როგორც პედაგოგიური პრაქტიკის გაკვეთილის მომზადებაში ასევე შემდგომ დასაქმებაში. საგნობრივ ფეისბუქჯგუფში სტუდენტზე ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინების ხარისხი უფრო მაღალი იყო. ამ სამი სასწავლო წლის განმავლობაში ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკის ყველა სტუდენტმა შეძლო მეთოდური სტატიის მომზადება მომზადება და გამოქვეყნება ინტერნეტგაზეთ mastsavlebeli.ge - ზე. ერთ-ერთმა სტუდენტმა სტუდენტობის პარალელურად გაიმარჯვა კონკურსში და მას მიყავდა ტელესკოლის გაკვეთილები ბიოლოგიაში.

დასკვნა. ჩვენი კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების აკადემიურ შედეგებზე დახურული საგნობრივი ფეისბუქჯგუფების გავლენა ბოლო სამი სასწავლო წლის განმავლობაში. როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ ფეისბუქჯგუფები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სტუდენტების აკადემიურ მოსწრებასა და ჩართულობაზე.

კერძოდ, რაოდენობრივი მონაცემები მიუთითებს, რომ ფეისბუქის გამოყენების სიხშირე დადებითად მოქმედებს სტუდენტების აკადემიურ შედეგებზე, სტუდენტების მიერ ფეისბუქზე განახლებული მასალების რეგულარული გამოყენება ზრდის ცოდნის მიღების ეფექტიანობას და აუმჯობესებს აკადემიურ მოსწრებას. ასევე, ჯგუფური, მოდულების მიხედვით დავალების შესრულების სიხშირე და ხარისხი დაკავშირებულია უკეთეს აკადემიურ შედეგებთან. კვლევა აჩვენებს, რომ სტუდენტები ფეისბუქჯგუფებში აქტიურად მონაწილეობენ და აღნიშნავენ, რომ ეს ეხმარებათ ლექციების მასალის უკეთ გაგებაში და პრაქტიკული დავალებების შესრულებაში.

რეკომენდაციები

1. *დახურული, საგნობრივი ფეისბუქჯგუფების მრავალმხრივი გამოყენება* - სასურველია, რომ სხვადასხვა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სხვადასხვა საგნის ლექტორმა გაამრავალფეროვნოს დახურულ საგნობრივი ფეისბუქჯგუფის გამოყენების

აქტივობები, ეს ხელს შეუწყობს სტუდენტების ჩართულობასა და მოტივაციას, რაც დადებითად აისახება მათ აკადემიურ შედეგებზე.

2. *სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა* - ლექტორებმა და ფაკულტეტის ადმინისტრაციამ და პროგრამის ხელმძღვანელებმა ხელი უნდა შეუწყოს სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას დახურულ სოციალურ ქსელში სხვადასხვა სახის აქტივობებით, როგორიცაა დისკუსიები, პრაქტიკული დავალებები და კოლაბორაციული აქტივობები.
3. *ნაშრომების გამოქვეყნება* - უნდა მოხდეს საუკეთესო ნაშრომების რეგულარული გამოქვეყნება, რათა გაიზარდოს სტუდენტთა მოტივაცია. ნაშრომების გამოქვეყნება ხელს შეუწყობს სტუდენტების მოტივაციასა და აკადემიური უნარების განვითარებას.
4. *მონიტორინგი და უკუკავშირი* - აუცილებელია, ლექტორებმა რეგულარულად შეამოწმონ სტუდენტთა აქტიურობა ფეისბუქგუფებში და მისცენ მათ უკუკავშირი. ეს დაეხმარება სტუდენტს უკეთ გაიაზროს სწავლის პროცესი და მიიღოს საჭირო მხარდაჭერა.
5. *ტრენინგები და რესურსები* - სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტებისთვის და ლექტორებისთვის ტრენინგები ფეისბუქგუფების ეფექტიანად გამოყენების შესახებ. ეს გააუმჯობესებს მათი ჩართულობის ხარისხს, ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის უკეთეს ორგანიზაციას და ლექტორს დაეხმარება საკუთარი სასწავლო კურსის რეფლექსიაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

Topping, K. J. (2018). The effectiveness of collaborative learning for undergraduate students: A meta-analysis. *Review of Educational Research*, 68(2), 249-276.

Kumar, V., & Vig, R. (2017). The impact of e-learning on student performance: A case study of university students in Pakistan. *International Journal of Information and Education Technology*, 7(9), 702-707.

Garrison, D. R., & Anderson, T. (2003). *E-Learning in the 21st Century: A Framework for Research and Practice*. Routledge.

Hrastinski, S. (2008). Asynchronous and synchronous e-learning. *Educause Quarterly*, 31(4), 51-55.

Bates, A. W., & Sangra, A. (2011). *Managing Technology in Higher Education: Strategies for Transforming Teaching and Learning*. Jossey-Bass.

Salmon, G. (2002). *E-Moderating: The Key to Teaching and Learning Online*. Kogan Page.

Dhawan, S. (2020). Online Learning: A Panacea in the Time of COVID-19 Crisis. *Journal of Educational Technology Systems*, 49(1), 5-22.

Hodges, C., Moore, S., Lockee, B., Trust, T., & Bond, A. (2020). The Difference Between Emergency Remote Teaching and Online Learning. *Educause Review*.

Jandrić, P., Hayes, D., Truelove, I., Levinson, P., Mayo, P., Ryberg, T., ... & Hayes, S. (2020). Teaching in the Age of Covid-19. *Postdigital Science and Education*, 2, 1069-1230.

Bates, T. (2020). Crises, Change, and Online Learning. *Online Learning and Distance Education Resources*.

Li, C., & Lalani, F. (2020). The COVID-19 Pandemic has Changed Education Forever. This is How. *World Economic Forum*.

Bozkurt, A., Jung, I., Xiao, J., Vladimirschi, V., Schuwer, R., Egorov, G., ... & Paskevicius, M. (2020). A Global Outlook to the Interruption of Education Due to COVID-19 Pandemic: Navigating in a Time of Uncertainty and Crisis. *Asian Journal of Distance Education*, 15(1), 1-126.